ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები 2021 წ.

შპს „აკადემი გრუპი“
სააღრიცხვო პოლიტიკა დ აფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები **2021**წ. **31** დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადიინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში 15/03/2019 წ ს/ნ 405324340 კომპანიის იურიდიული საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი.ჭავჭავაძის გამზ., №78, კორპ. 1, ბ. 4 .კომპანიის მოქმედი დირექტორია ირინა კაპანაძე 65002000051. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო და საბითუმო ვაჭრობა პარფიუმეული პროდუქტებით. 2021 წელში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 28.

2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

3.ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/ საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

4.სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

5.მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული

ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

6.ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის თანხა აკლდება აქტივის პირვანდელ ღირებულებას.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

7.არამატერიალურაქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციი სნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

8.იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულებაა მისი აღება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორ ცფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება და რიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათიგ აუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

9.სასაქონლო-მატერიალურიფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

10.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტურისა უპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვამოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიას გააჩნია მოკლევადიანი (ერთ წლამდე პერიოდის) მოთხოვნები , რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოუწევს კომპანიას;

სავალუტო მოთხოვნები აღირიცხება უცხოურ/ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში წარმოშობილი მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსით, ლარის ექვივალენტში, და შედეგი აისახება იმ საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშზე როდესაც წარმოიშობა ასეთი სხვაობა;

11.სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

12.ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

13.პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

14. ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები შედგება კომპანიის საბანკო ანგარიშებზე, ასევე სალაროში განთავსებული ნაღდი ფულის ნაშთისგან.

ფული და ფულის ექვივალენტები 2021, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლებაწარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული სალაროში	26,310.00	12,332.57	15,462.00
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,551,567.00	1,833,036.35	15,083.00
სულ ჯამი	**1,577,877.00**	**1,845,368.92**	**30,545.00**

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და ცნობილი საკრედიტო დაწესებულება.

15.ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 2021, 2020 და 2019 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2021	2019
ცვეთა ამორტიზაცია	-257,878.00	-129,626.00	-55,041.00
სულ ჯამი	**-257,878.00**	**-129,626.00**	**-55,041.00**

საბალანსო უწყისი

ვალუტა - GEL

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
ფულადი სახსრები		1,577,876	1,845,369	30,545
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		4,891,297	2,582,004	4,771,192
სასაქონლო მატერიალური		801,458	838,309	376,461
წინასწარ გაწეული ხარჯი/გადახდილი გადასახადი		25,670	19,982	127,944
სულ მიმდინარე აქტივები		**7,296,301**	**5,285,664**	**5,306,142**
ძირითადისაშუალებები		1,073,370	840,968	0
არამატერიალური აქტივები				0
ბიოლოგიური აქტივები				0
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1,073,370**	**840,968**	**0**
სულ აქტივები		**8,369,671**	**6,126,632**	**5,306,142**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები				0
სესხები		4,604	1,125,319	4,080,455
საგადასახადო ვალდებულებები				
ვალდებულებები		**4,604**	**1,125,319**	**4,080,455**
გრძელვადიანი სესხები			**0**	**0**
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			**0**	**0**
სულ ვალდებულებები		**4,604**	**1,125,319**	**4,080,455**
საწესდებო კაპიტალი		15,500	15,500	15,500
წინა წლების დაგროვილი მოგება				0
განაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი				0
მიმდინარე წლის მოგება / ზარალი		8,349,567	4,985,813	1,210,187
სულ კაპიტალი		**8,365,067**	**5,001,313**	**1,225,687**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**8,369,671**	**6,126,632**	**5,306,142**

მოგება ზარალის უწყისი

ვალუტა - GEL

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
შემოსავალი რეალიზაციიდან		44,886,615	34,621,551	11,325,165
რეალიზებული პროდუქციის, გაწეული მომსახურების თვითღირებულება		-39488908	-29910260	-9,779,746
სარეალიზაციო მოგება (ზარალი)		**5,397,707**	**4,711,291**	**1,545,419**
ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები		-2,033,953	-935,665	-681,574
შრომის ანაზღაურება		-1,456,774	-726,386	-125,206
იჯარა		-179,006	-79,653	-49,524
ამორტიზაცია		-257,878	-129,626	-55,041
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		-140,295		-451,803
სულ საოპერაციო ხარჯები		**-2,033,953**	**-935,665**	**-681,574**
მოგება (ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან		**3,363,754**	**3,775,626**	**863,845**
არასაოპერაციო შემოსავლები		0	0	410,694
არასაოპერაციო ხარჯები		0	0	-48,851
გაცემული დივიდენდი		0	0	0
მოგება დაბეგვრამდე და განსაკუთრებულ მუხლებამდე		***3,363,754***	***3,775,626***	***1,225,687***
მოგების *გადასახადი საპროგნოზო*		**504,563**	**566,344**	**183,853**
მოგება დაბეგვრის შემდეგ		2,859,191	3,209,282	1,041,834
წმინდა მოგება (ზარალი)		2,859,191	3,209,282	1,041,834

ფინანსურიანგარიშგებისდამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 15 სექტემბერს.